პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 15 ივნისი, 1943 წ. № 128 (6753). ფასი 20 კაპ.

საუკეთესოდ ჩავაბარეთ თიბვა და საკვებთა დასილოსება

სოციალისტური მეცხოველეობის მუშაკებს დიდმა სამამულო ომმა ახალი მოთხოვნები წაუყენა. ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს უნდა მივცეთ სულ უფროდაუფრო მეტი მეცხოველეობის პროდუქტები. პარტიამ და მთავრობამ უკანასკნელად უაღრესად მნიშვნელოვანი დადგენილება მიიღეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საქონლის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ, აგრეთვე დადგენილება ცხენთა სულადობის გადიდების, მათი მოვლისა და შენახვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ამოცანა ის არის, რომ განუხრელად განვაძრიალოთ პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი და უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა, მთლიანად და გადამეტებით შევასრულოთ მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმა, კიდევ უფრო გავზარდოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

ამ საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა მეცხოველეობას ჰქონდეს მტკიცე საკვები ბაზა. ყველა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ საკვების საკმაო რაოდენობით შეძენაზე კი თავითვე უნდა იზრუნოს. შარშან საქართველოს კოლმეურნეობებმა ამ მხრივ კარგი მუშაობა გასწიეს. 1942 წელს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა 1.830,7 ათასი ცენტნერით მეტი უხეში საკვები (თივაზე გადაყვანით) და 17.781 ტონით მეტი სილოსი დაგროვეს, ვიდრე 1941 წელს. თიბვის გეგმა საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა 1942 წელს 127,4 პროცენტით შეასრულეს. მაგრამ ხაშურის და თიანეთის რაიონების კოლმეურნეობებს შარშან მთლიანად არ შეუსრულებიათ თიბვისა და სილოსის დაგროვების გეგმები. სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებს არ შეუსრულებიათ სილოსის ჩადების გეგმა. წელს ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს.

1943 წელს საქართველოს კოლმეურნეობებისათვის უხეში საკვების დაგროვების გეგმა (თივაზე გადაყვანით) დაწესებულია 13.348 ათასი ცენტნერის რაოდენობით და სილოსის ჩადების გეგმა—150 ათასი ტონის რაოდენობით. ამ დავალების შესრულებისათვის საჭიროა სერიოზული მუშაობის ჩატარება.

საქართველოში უკვე დაიწყო თივის აღება. სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებში 5 ივნისისათვის თივა აღებული იყო 468 ჰექტარზე, ბორჩალოს რაიონში—125 ჰექტარზე. ასევე გაჩაღებულია თიბვა ლაგოდეხის რაიონში. მიუხედავად იმისა, რომ ბალახის მოთიბვის ვადა დადგა, ყარაიის, წითელწყაროს, თბილისის, ყვარლისა და გურჯაანის რაიონების კოლმეურნეობებმა არამც თუ თიბვა არ გააჩაღეს, არამედ ამ რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებს არ დაუმთავრებიათ თივის ასაღები მანქანებისა და ინვენტარის რემონტი.

სამხრეთ - ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა ჩრდილოეთ კავკასიაში საზამთრო საძოვრებზე თივის ასაღებად საჭირო რაოდენობის მუშახელისა და ტრანსპორტის სასწრაფოდ გასაგზავნად. დაყოვნება შეუწყნარებელია. უკანასკნელად მოსულმა წვიმებმა გამოიწვია ბალახთა სწრაფი ზრდა. რაიონული პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანოების მუშაკთა მოვალეობაა მასობრივად გააჩაღონ თივის აღება, სადაც ამას ბალახის ზრდის შესაძლებლობა იძლევა. თივის აღებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა შრომისუნარიანმა კოლმეურნემ. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ძალთა სწორი განაწილებით, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით უნდა უზრუნველვყოთ ამ სამუშაოს ფართოდ გაჩაღება, რომ თივის აღება სავსებით დამთავრდეს თავთავიანი პურეულის აღების დაწყებამდე. თიბვა, ისევე როგორც მოსავლის აღება, სეზონური საქმეა და მას დაცდა არ უყვარს. ამიტომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა არ უნდა დააგვიანონ თიბვის დაწყება. მტკიცედ უნდა დავნერგოთ ბალახის მეორედ გათიბვა და აუღებელი არ დავტოვოთ არც ერთი ჰექტარი თივა. ამას მოითხოვენ ჩვენგან სამშობლო და ფრონტი.

მუშაობა მარტო თივის აღებით არ ამოიწურება. საჭიროა თივის სწრაფად ფაზვინვა, რომ არ გაუარესდეს მისი ხარისხი. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ამ სამუშაოზე უნდა გამოჰყონ გამოცდილი მუშაკები.

საჭიროა სრულ წესრიგში მოვიყვანოთ სათიბი, სათიბსამკელი მანქანები და თივის ასაღები სხვა ინვენტარი. ტრაქტორისა და ცხენით სათიბი მანქანების სრულად გამოყენებასთან ერთად თივის აღებაში ფართოდ უნდა დავნერგოთ ხელით შრომა.

უკვე დადგა საკვების დასილოსების დრო. მიუხედავად ამისა, გარდა წითელწყაროს რაიონისა, საქართველოს არც ერთი რაიონი არ შესდგომია საკვების დასილოსებას. ეს მოითხოვს უახლოეს დღეებში დავამთავროთ სილოსის საჭრელების, სასილოსე ორმოების, თხრილებისა და კოშკების შენებლობა და ადგილობრივი სამშენებლო მასალების ფართოდ გამოყენებით უზრუნველვყოთ სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად დამთავრება.

ყარაიის, მცხეთის, ბაკურიანის, გორის, ხაშურის, ქარელის და თბილისის რაიონებს არ შეუსრულებიათ წელს სასილოსე და საკვები ძირხვენა მცენარეების თესვის გეგმა და მთელ რიგ კოლმეურნეობებში თესვა შეუწყვეტრელივ ჭიანურდება. აღნიშნული რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანოებმა აუცილებლივ უნდა უზრუნველჰყონ სასილოსე და საკვები ძირხვენა მცენარეების თესვის სახელმწიფო გეგმის შესრულება ყველა კოლმეურნეობაში, რასაც გვაკარნახებს მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ინტერესები.

კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს საკვების დამზადებისათვის დაუწესდათ ნატურალური წახალისების სისტემა. თივის აღებისა და საკვების დასილოსების დროულად ჩატარების წახალისების მიზნით კოლმეურნეობებს ნება აქვთ დართული თივის აღებაზე მომუშავე კოლმეურნეებს, ძირითადი შრომადღეების ანაზღაურების გარდა, დამატებით მისცენ აღებული და დაზვინული თივის მეათედი ნაწილი, ხოლო დასილოსებაზე გამომუშავებულ თითოეულ შრომადღეზე, სასილოსე ორმოების, თხრილებისა და კოშკების დატენის დამთავრების შემდეგ, მისცენ 10 კილოგრამამდე თივა. კოლმეურნეობათა გამგეობანი ვალდებულნი არიან თივის აღებისა და დასილოსებისათვის კოლმეურნეებს თივა მისცენ მისი აღების დამთავრების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 1 სექტემბრისა.

იმ მიზნით, რომ საუკეთესო მთიბავები წახალისებულ იქნან ცხენის საათიბებით მაღალი ბამბალი შეგმომუშავებისათვის, კოლმეურნეობებს რჩება მიეცათ დამატებით მისცენ მთიბავებს პურის აღების დაწყებამდე 40 ჰექტარის ვადამეტებით აღებული თითოეულ ჰექტარ სათიბზე 20 კილოგრამი თივა.

არა ნაკლები სტიმულია შექმნილი საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის. საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს ნება დაერთოთ თივის აღებაზე და საკვების დასილოსებაზე მომუშავეებს, რომლებიც ასრულებენ გამომუშავების ნორმებს, მისცენ თითოეულ ტონა დამზადებულ და დაზვინულ თივაზე ნატურალური პრემია თივის სახით, ხელით აღებისას—150 კილოგრამი, ცხენით აღებისას—60 კილოგრამი, ტრაქტორით აღებისას—30 კილოგრამი. თითოეულ ჩადებულ ტონა სილოსზე: ხელით აღებისას—80 კილოგრამი, ცხენით აღებისას—65 კილოგრამი, ტრაქტორით აღებისას—45 კილოგრამი.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანოების მუშაკების ვალია საფუძვლიანად გააცნონ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს ნატურალური წახალისების ეს სისტემა, რომელიც უდიდეს სტიმულს ჰქმნის საკვებთა დამზადების უკეთ წარმართვისათვის.

კოლმეურნეობათა პატრიოტული ვალია დროულად შეასრულონ თივის სავალდებულო ჩაბარების გეგმები და მით პირნათლად მოიხადონ თავიანთი ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე.

თივის აღება და საკვებთა დასილოსება დიდმნიშვნელოვანი სამხედრო სამეურნეო კამპანიაა. დავრაზმოთ მთელი ძალები მის საუკეთესოდ ჩატარებისათვის, მზარდ მეცხოველეობას — მტკიცე საკვები ბაზა. უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვებით!

საქართველოს სსრ. მახარაძის რაიონი სოფელ მერიის კირროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ვიშო მაღაქიას-ძე მიქაბაძეს

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, ამხანაგო მიქატაძე, წითელი არმიის ჯავშანსატანკო ძალებზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

საქართველოს მშრომელებმა ახალ სესხზე ხელი მოაწერეს 451.436.000 მანეთის რაოდენობით

საქართველოს სახელმწიფო შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტო სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით, რესპუბლიკაში მუშა- მოსამსახურეებს სესხზე ხელი მოწერილი აქვთ 196.458.000 მანეთის რაოდენობით, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებს — 204.932.000 მანეთზე. კოლმეურნეობებსა და სარეწაო არტელებს — 49.996.000 მანეთზე. სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში სესხზე ხელმოწერის თანხა შეადგენს 451.436.000 მანეთს, რაც 137.436.000 მანეთით აღემატება სარეალიზაციოდ ნაშალდგენს 451.436.000 მანეთს, სადაც ამას ბალახის ზრდის შესაძლებლობა იძლევა. თივის აღებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა შრომისუნარიანმა კოლმეურნემ. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ძალთა სწორი განაწილებით, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით უნდა უზრუნველვყოთ ამ სამუშაოს ფართოდ გაჩაღება, რომ თივის აღება სავსებით დამთავრდეს თავთავიანი პურეულის აღების დაწყებამდე. თიბვა, ისევე როგორც მოსავლის აღება, სეზონური საქმეა და მას დაცდა არ უყვარს. ამიტომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა არ უნდა დააგვიანონ თიბვის დაწყება. მტკიცედ უნდა დავნერგოთ ბალახის მეორედ გათიბვა და აუღებელი არ დავტოვოთ არც ერთი ჰექტარი თივა. ამას მოითხოვენ ჩვენგან სამშობლო და ფრონტი.

მუშაობა მარტო თივის აღებით არ ამოიწურება. საჭიროა თივის სწრაფად ფაზვინვა, რომ არ გაუარესდეს მისი ხარისხი. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ამ სამუშაოზე უნდა გამოჰყონ გამოცდილი მუშაკები.

საჭიროა სრულ წესრიგში მოვიყვანოთ სათიბი, სათიბსამკელი მანქანები და თივის ასაღები სხვა ინვენტარი. ტრაქტორისა და ცხენით სათიბი მანქანების სრულად გამოყენებასთან ერთად თივის აღებაში ფართოდ უნდა დავნერგოთ ხელით შრომა.

უკვე დადგა საკვების დასილოსების დრო. მიუხედავად ამისა, გარდა წითელწყაროს რაიონისა, საქართველოს არც ერთი რაიონი არ შესდგომია საკვების დასილოსებას. ეს მოითხოვს უახლოეს დღეებში დავამთავროთ სილოსის საჭრელების, სასილოსე ორმოების, თხრილებისა და კოშკების შენებლობა და ადგილობრივი სამშენებლო მასალების ფართოდ გამოყენებით უზრუნველვყოთ სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად დამთავრება.

ყარაიის, მცხეთის, ბაკურიანის, გორის, ხაშურის, ქარელის და თბილისის რაიონებს არ შეუსრულებიათ წელს სასილოსე და საკვები ძირხვენა მცენარეების თესვის გეგმა და მთელ რიგ კოლმეურნეობებში თესვა შეუწყვეტრელივ ჭიანურდება. აღნიშნული რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანოებმა აუცილებლივ უნდა უზრუნველჰყონ სასილოსე და საკვები ძირხვენა მცენარეების თესვის სახელმწიფო გეგმის შესრულება ყველა კოლმეურნეობაში, რასაც გვაკარნახებს მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ინტერესები.

კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს საკვების დამზადებისათვის დაუწესდათ ნატურალური წახალისების სისტემა. თივის აღებისა და საკვების დასილოსების დროულად ჩატარების წახალისების მიზნით კოლმეურნეობებს ნება აქვთ დართული თივის აღებაზე მომუშავე კოლმეურნეებს, ძირითადი შრომადღეების ანაზღაურების გარდა, დამატებით მისცენ აღებული და დაზვინული თივის მეათედი ნაწილი, ხოლო დასილოსებაზე გამომუშავებულ თითოეულ შრომადღეზე, სასილოსე ორმოების, თხრილებისა და კოშკების დატენის დამთავრების შემდეგ, მისცენ 10 კილოგრამამდე თივა. კოლმეურნეობათა გამგეობანი ვალდებულნი არიან თივის აღებისა და დასილოსებისათვის კოლმეურნეებს თივა მისცენ მისი აღების დამთავრების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 1 სექტემბრისა.

იმ მიზნით, რომ საუკეთესო მთიბავები წახალისებულ იქნან ცხენის საათიბებით მაღალი ბამბალი შეგმომუშავებისათვის, კოლმეურნეობებს რჩება მიეცათ დამატებით მისცენ მთიბავებს პურის აღების დაწყებამდე 40 ჰექტარის ვადამეტებით აღებულ თითოეულ ჰექტარ სათიბზე 20 კილოგრამი თივა.

არა ნაკლები სტიმულია შექმნილი საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის. საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს ნება დაერთოთ თივის აღებაზე და საკვების დასილოსებაზე მომუშავეებს, რომლებიც ასრულებენ გამომუშავების ნორმებს, მისცენ თითოეულ ტონა დამზადებულ და დაზვინულ თივაზე ნატურალური პრემია თივის სახით, ხელით აღებისას—150 კილოგრამი, ცხენით აღებისას—60 კილოგრამი, ტრაქტორით აღებისას—30 კილოგრამი. თითოეულ ჩადებულ ტონა სილოსზე: ხელით აღებისას—80 კილოგრამი, ცხენით აღებისას—65 კილოგრამი, ტრაქტორით აღებისას—45 კილოგრამი.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანოების მუშაკების ვალია საფუძვლიანად გააცნონ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს ნატურალური წახალისების ეს სისტემა, რომელიც უდიდეს სტიმულს ჰქმნის საკვებთა დამზადების უკეთ წარმართვისათვის.

კოლმეურნეობათა პატრიოტული ვალია დროულად შეასრულონ თივის სავალდებულო ჩაბარების გეგმები და მით პირნათლად მოიხადონ თავიანთი ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე.

თივის აღება და საკვებთა დასილოსება დიდმნიშვნელოვანი სამხედრო სამეურნეო კამპანიაა. დავრაზმოთ მთელი ძალები მის საუკეთესოდ ჩატარებისათვის, მზარდ მეცხოველეობას — მტკიცე საკვები ბაზა. უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვებით!

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

13 ივნისის დილის ცნობა

12 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე 5 ნაწილის მზვერავი რაზმი მოწინააღმდეგის სანგრებში შეიჭრა. ჩვენმა მებრძოლებმა 40 ჰიტლერელი გაელიტეს, ტყვეები წამოიყვანეს და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ. მზვერავთა ჯგუფი უფროს სერჟანტ ბრუევის მეთაურობით ღამე მოწინააღმდეგის განლაგებაში შეიპარა. მზვერავებმა გრანატები დააყარეს მტრის ბლინდაჟებს და მოსპეს შიგ მყოფი ჰიტლერელები.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით ერთ უბანზე გერმანიის ქვეითი ჯარის ბატალიონმა საარტილერიო-სანაღმმტყორცნო ცეცხლის საფარქვეშ იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოწინააღმდეგე უკუაგდეს. ბრძოლის ველზე ჰიტლერელებმა დასტოვეს 120 მოკლული და ბევრი იარაღი.

* * *

ბელგოროდის რაიონში 5 ნაწილის არტილერისტებმა უკანასკნელ დღეებში გერმანელთა ერთ ასეულზე მეტი ქვეითი ჯარი გაელიტეს, მოწინააღმდეგის 18 ბლინდაჟი დანგრიეს და 3 საარტილერიო ბატარია ჩააჩუმეს.

* * *

სევსკის რაიონში ჩვენმა არტილერისტებმა ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს გერმანელთა კოლონაზე და 100-მდე მტრის ჯარისკაცი გაელიტეს. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოწინააღმდეგის 1 ტანკი დააზიანეს და 2 ნაღმსატყორცნი და 7 ტყვიამფრქვევი მოსპეს.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე სნაიპერთა ჯგუფმა, რომელიც რამდენიმე დღე ჩასაფრებული იყო სერჟანტ აღლესანდრე გოვორუხინის მეთაურობით, 60-მდე ჰიტლერელი გაელიტა. უფროსმა სერჟანტმა ნიკოლოზ კაშიცინმა მოჰკლა 7 გერმანელი, წითელარმიელმა ივანე მიხაილოვმა — 5, სნაიპერმა გოვორუხინმა — 8 ჰიტლერელი.

* * *

ბრესტის ოლქში მოქმედმა ჩკალოვის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო ფრონტზე მიმავალი გერმანელთა ჯარის ეშელონი. პარტიზანულმა დაზვერვამ გამოარკვია, რომ ჰიტლერელებმა ვაგონების ნამტვრევებიდან ამოიყვანეს 150-მდე მოკლული და მძიმედ დაჭრილი, სხვა რაზმის პარტიზანებმა მაისის დამლეგს ნაღმებზე ააფეთქეს გერმანელთა ეშელონი. დამტვრეულია 1 ორთქლმავალი და ავტომანქანებით დატვირთული 14 პლატფორმა.

* * *

გერმანიის 339-ე ქვეითი დივიზიის ტყვე ობერ-ეფრეიტორმა მარტინ ვაჰენკნეხტმა განაცხადა: „გერმანელთა ზურგში დიდძალი როსი პარტიზანი მოქმედებს. ისინი თავს ესხმიან დასაყრდენ პუნქტებს, აგრეთვე ფრონტის უკან შორს განლაგებულ გარნიზონებს. ამას წინათ პარტიზანებმა ჩვენი მესაგზრეების დიდი რაზმი გაელიტეს“. წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანიის 296-ე ქვეითი დივიზიის ჯარისკაცმა ვერნერ გამ განაცხადა: „ეშელონი, რომლითაც ფრონტზე მიემართებოდა ჩვენი სამარშო ბატალიონი, სანჯერ გაჩერდა გზაში, რადგან პარტიზანებს გზა აეფეთქებინათ და დაეზიანებინათ. ბრიანსკთან ვნახე, რომ პარტიზანებს რკინიგზის დიდი ხიდის მალები აეფეთქებინათ. ჩვენი ეშელონის წინ მიმავალი მატარებელი ლიანდაგს გადასცდა და ფერდობზე გადაიჩეხა“.

* * *

კარელიის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე გერმანელებმა მოახერხეს ტყვედ ჩაეგდოთ 2 დაჭრილი საბჭოთა მებრძოლი. მალე ჩვენმა ქვეგანაყოფმა მოწინააღმდეგე განდევნა გამოარეხული პოზიციიდან. ერთ ბლინდაჟთან აღმოჩენილ იქნა თაშისტების ხელში ტყვედ ჩავარდნილ მებრძოლთა დაფლეთილი გვამები. გამოირკვა, რომ გერმანელებმა მხეცურად უწამებიათ წითელარმიელები რომან პეტრუს-ძე კოზლოვი და იაკობ ეგნატეს-ძე ფატეევი. 6 ნაწილის მებრძოლებმა ფიცი დასდეს, რომ შურს იძიებენ თავიანთი ამხანაგებისათვის ფაშისტ არამზადებზე.

13 ივნისის საღამოს ცნობა

13 ივნისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

ჩვენმა ავიაციამ ბარენცის ზღვაში გერმანელთა 1 ტრანსპორტი და 2 საგუშაგო კატერი ჩასძირა. შავ ზღვაში ჩაძირულია მოწინააღმდეგის ტრანსპორტი.

* * *

განვლილი კვირის მანძილზე, 6-დან 13 ივნისამდე, საჰაერო ბრძოლებში, მოწინააღმდეგის აეროდრომებზე და საზენიტო არტილერიისა და ჯარის ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა 498 თვითმფრინავი. გარდა ამისა, მტრის თვითმფრინავთა დიდი რაოდენობა მოსპობილი ან დაზიანებულია მოწინააღმდეგის აეროდრომებზე საბჭოთა ავიაციის დიდი ძალების თავდასხმების შედეგად, რაც 7 ივნისს ღამით, 9 ივნისს ღამით და 11 ივნისს ღამით მოხდა. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენ 153 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაელიტეს და მოწინააღმდეგის 4 საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ბატარეა ჩააჩუმეს. ერთ უბანზე 6 ნაწილის მზვერავმა რაზმმა იერიში მიიტანა გერმანელთა სანგრებზე და ხელჩართულ ბრძოლაში მოსპო ჰიტლერელთა ჯგუფი. მზვერავებმა ხელთ იგდეს ტყვიამფრქვევი, შაშხანები, ავტომატები და თაიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით ერთ უბანზე მოწინააღმდეგემ რამდენჯერმე სცადა იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე. ჩვენი ქვეგანაყოფების მიერ ატეხილი გამანადგურებელი სატყვიამფრქვევო და სანაღმმტყორცნო სროლის შედეგად ჰიტლერელები, ყოველთვის იძულებული ხდებოდნენ სწრაფად დაეხიათ უკან, ამასთან მრავალ მოკლულ ჯარისკაცს სტოვებდნენ ბრძოლის ველზე. სხვა უბანზე მოწინააღმდეგემ იერიში მოიტანა და რამდენიმე შეაღწია ჩვენი მოწინავე ქვეგანაყოფი. 6 ნაწილის მებრძოლებმა კონტრდარტყმით უკუაგდეს გერმანელები და მთლიანად აღადგინეს მდგომარეობა.

* * *

იზიუმის სამხრეთით ჩვენმა არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა 1 ქვემეხი და 6 ტყვიამფრქვევი, ჩაჩუმეს 2 საარტილერიო ბატარეა და გაელიტეს ჰიტლერელთა 1 ასეულამდე ჯარი. სხვა უბანზე მოწინააღმდეგემ სცადა გადმოელახა მდინარე სევერნი დონეცი, მაგრამ გაფანტულ იქნა ჩვენი ქვეგანაყოფების ცეცხლით. მოკლულია რამდენიმე ათეული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

გერმანიის 8 ბომბდამშენმა 9 ავიაგამანადგურებლის საფარქვეშ სცადა დაებომბა ერთ-ერთი ჩვენი აეროდრომი. ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა აეროდრომთან არ მოუშვეს მტრის თვითმფრინაიები. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 5 თვითმფრინავი. მოწინააღმდეგის დანარჩენმა თვითმფრინავებმა უწესრიგოდ ჩამოჰყარეს ბომბები და სწრაფად მიიმალნენ.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოსპეს გერმანელთა 11 ტყვიამფრქვევი, ააფეთქეს სამობრი მასალის საწყობი, დანგრიეს მოწინააღმდეგის 13 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 10 მიწური და 4 სათვალთვალო პუნქტი. გაელიტილია მტრის 120-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ლენინგრადის მისადგომებთან საჰაერო ბრძოლაში 6 ავიანაწილის მფრინავებმა გერმანელთა 1 თვითმფრინავი ჩამოაგდეს და 3 დააზიანეს. გარდა ამისა, გერმანელთა თვითმფრინავი საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო.

* * *

გომელის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედ პარტიზანულ რაზმს ერთი კვირის წინათ ბრძოლა ჰქონდა გერმანელ ოკუპანტებთან მდინარე სოჟზე. პარტიზანებმა ჩასძირეს ხომალდი ჰიტლერელებიანად და 2 კარავანი სხვადასხვა საომარ ტვირთიანად. ჩაპაევის სახელობის რაზმის გომელელ პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 3 სამხედრო ეშელონი. დამტვრეულია 3 ორთქლმავალი. მოსპობილია მსუბუქი ტანკებით დატვირთული 28 პლატფორმა, ავტომობილებით დატვირთული 14 პლატფორმა და სამხედრო საჭურვლით დატვირთული 9 ვაგონი.

* * *

გერმანიის 306-ე ქვეითი დივიზიის 580-ე პოლკის მე-7 ასეულის ტყვე ობერ-ეფრეიტორმა ფრანც ფიშერმა განაცხადა: „ფრონტზე მიმდინარე წლის თებერვლიდან ვიმყოფები. ასეულში ვერც ერთი ჯარისკაცი ვერარა ნახე იმთვისი, ვინც რამდენიმე თვის წინათ ჩამოვიდა საფრანგეთიდან. ჯარისკაცთა უმრავლესობა ზამთრის ბრძოლებში მოჰკლეს ან დასჭრეს. დარჩენილი ერთი მუჭა ხალხი სხვადასხვა ქვეგანაყოფებში გაანაწილეს. ერთი კვირის მოსული ვიყავი პოლკში რომ შევხვედი „ვეტერანებს“, რომლებმაც 306-ე დივიზიის განადგურების საზარელი ცნობები გადმომცეს. დივიზიამ მარტო მოროზოვსკაიასთან პირადი შემადგენლობის ორი მესამედი დაჰკარგა. თებერვლიდან მოკიდებული ოფიცრები ყოველდღე ეუბნებოდნენ ჯარისკაცებს, გაზაფხულზე გერმანიის არმია შეტევაზე გადავაო. მთელი ამ ფორსაჟორის მიუხედავად, სიწყნარე დღემდე გრძელდება. ძველი ჯარისკაცები ერთხმად ამბობენ დაჟინებით: „რუსები საშინელი მოწინააღმდეგეა, მათი დამარცხება შეუძლებელია. თუ მესამე ზამთარამა რუსეთში მოგვისწრო, გერმანია აუცილებლად წაგებს ომს, ჩვენ კი ყველანი დავიღუპებით“.

* * *

ჰოლონელმა პატრიოტებმა გაბედული თავდასხმა მოახდინეს საპატიმროზე ქალაქ ზეოლენში. პარტიზანებმა საპატიმროს გერმანელი მცველები ამოხოცეს და საპატიმროში მყოფი ჰოლონელები გაათავისუფლეს. რადომის მაზრის გნეშოვის რაიონში პარტიზანებმა დაწვეს გერმანელთა თვითმფრინავი, რომელიც იძოლებით დაეშვა. იანოვსკის მაზრაში პატრიოტებმა მოჰკლეს გერმანელი გენერალი ვილჰელმ ლიბერტაუ. ვარშავაში მოკლულია ვესტაპოს 3 მოხელე.

14 ივნისის დილის ცნობა

13 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე 6 ნაწილის ნაღმტყორცნელებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 3 ტყვიამფრქვევი და 4 ნაღმსატყორცხი და ცეცხლი წაუკიდეს მოწინააღმდეგის სამხედრო ქონების საწყობს. 5 ნაწილის სნაიპერებმა 68 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი ჰოჰკლეს. სნაიპერების ჯგუფმა უფროს სერჟანტ ამხ. სოპოვის მეთაურობით ორ დღეში 11 ჰიტლერელი მოჰკლა.

* * *

მცენსკის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა მზვერავებმა რაზმებმა მოულოდნელი დარტყმით განდევნეს მოწინააღმდეგე ოთხი დასახლებული პუნქტიდან. გერმანელებმა სცადეს აღედგინათ მდგომარეობა და რამდენიმე სასტიკი კონტრიერიში მოიტანეს, მაგრამ ჩვენი ნაწილები მათ ყოველთვის უკუაგდებდნენ. ჩვენი ქვეგანაყოფები დაკავებულ დასახლებულ პუნქტებს ინარჩუნებენ. ამ უბანზე ბრძოლების შედეგად მოსპობილია 9 საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარია, დაზიანებული და დამწვარია 8 ტანკი და მოკლულია 60-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. გარდა ამისა, ქვეითი ჯარის იარაღით ჩამოგდებულია მტრის 3 თვითმფრინავი. ჩვენმა მებრძოლებმა გერმანელებს წაართვეს 20 ტყვიამფრქვევი, 2 საწყობი საომარი მასალა და ერთი საწყობი სურსათი. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

სევსკის რაიონში 5 ნაწილის არტილერისტებმა მოწინააღმდეგის პოზიციებსა და უახლოეს ზურგს დაუშინეს. დანგრეულია გერმანელთა 3 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 5 ბლინდაჟი. მოსპობილია 9 ავტომანქანა და აფეთქებულია საომარი მასალის საწყობი. ჩვენი მზვერავთა ჯგუფი მტრის განლაგებაში ჯადაოვიდა და მას თავს მოაჭივა ბრძოლა. მზვერავებმა 25 გერმანელი მოჰკლეს, ხელთ იგდეს ტყვიამფრქვევი, მნიშვნელოვანი საბუთები და უფანაკლოდ დაბრუნდნენ თავიანთ ქვეგანაყოფში.

* * *

ბელგოროდის რაიონში ჩვენმა სნაიპერებმა 46 ჰიტლერელი მოჰკლეს. არტილერიის ცეცხლით დანგრეულია გერმანელთა 5 ძელმიწური საცეცხლე წერტი, მოწინააღმდეგის 3 ბლინდაჟი და ერთი სათვალთვალო პუნქტი.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით ჩვენ ქვეგანაყოფები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ და 150-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაელიტეს. ივნისის 5 ნაღმმტყორცნო ქვეგანაყოფმა ცეცხლითი თავდასხმა მოახდინა მტრის თავმოყრილ ქვეით ჯარზე და ერთ ოფიცერს მეკი ჰიტლერელი ტყვე-ნიმოდენ.

პოლესიეს ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედ პარტიზანულ რაზმს ორი დღის განმავლობაში ბრძოლა ჰქონდა გერმანელთა სადასჯელო ექსპედიციასთან. პარტიზანებმა დიდი ზარალი მიაყენეს მტერს და უკან დაახევინეს. მოკლულია 60 ჰიტლერელი და დაჭრილია 120. პოლესიელ პარტიზანთა სხვა რაზმმა ერთ დასახლებულ პუნქტში გაანადგურა გერმანელთა გარნიზონი, 3 კილომეტრზე აჰყარა რკინიგზა და ააფეთქა 2 ხიდი. პარტიზანებმა გაანთავისუფლეს 400 საბჭოთა ოქალაქე, რომლებიც გერმანელებს ძალით მიჰყავდათ გერმანიაში კატორღულ სამუშაოზე.

* * *

მიღებულია ცნობა გერმანელი ფაშისტი არამზადების მიერ ჩადენილი საშინელი მხეცობის შესახებ. 16 მაისს ჰიტლერელთა რაზმი გომელის ოლქის სოფელ რუდნიაში შეიჭრა. გერმანელებმა სახლებიდან გამორეკეს და ორ ფარდულში ჩაკეტეს ყველა გლეხები, მათ შორის ბავშვებიც. შემდეგ ჰიტლერელებმა საზიდრებს დაუდეს გლეხების მთელი ქონება, ხოლო სოფელს ცეცხლი

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ მოსავლის აღებას

სამხრეთ-ოსეთის საკოლმეურნეო მინდვრებზე

სტალინირი („კომუნისტის“ სპეც. კორეს-პონდენტებისაგან). საუცხოო პირი უჭირს პურეულის მოსავალს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში. კოლმეურნეობა ქალები და კაცები, ჭაღარა მოხუცები და მოზარდები დაუღალავად შრომობენ, რომ ჩვენს ქვეყანას და ფრონტს წელს მისცენ გაცილებით მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები შარშანდელთან შედარებით. ჩვენ დავთვალიერეთ პურეულის შემოდგომისა და გაზაფხულის, სიმინდისა და შაქრის ჭარხლის ნათესები. როცა ამ ნათესებს ათვალიერებთ, გული სიხარულით გევსებათ. მათ ეტყობათ მზრუნველი ხელი. ქალთა შრომის ფართოდ გამოყენებით, ლაგოდეხელ კოლმეურნეთა მოწოდების საფუძველზე ფართოდ გაშლილ სოციალისტური შეჯიბრებით კოლმეურნეობები დაძაბულად მუშაობენ და ამით აიხსნება, რომ ნათესები სუფთაა და სარეველა ბალახებისაგან გაწმენდილია.

ოლქში ფართოდ არის გაჩაღებული ნათესების დამუშავება, ბევრგან პურეული ორჯერ გამარგლეს, სწარმოებს სიმინდის თოხნა, შაქრის ჭარხლის დამუშავება. მოწინავე კოლმეურნეობები განუხრელად ანხორციელებენ სათოხნ კულტურათა ნათესების გამარგვლისა და მწკრივთაშორის დამუშავების შესახებ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას.

უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები თვალსაჩინოდ ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას და დღითი-დღე აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას. საკოლმეურნეო სოფელში დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. საბჭოთა პატრიოტიზმის ნათელი განსახიერებაა ის, რომ იაროსლავლელ კოლმეურნეთა მოწოდების საფუძველზე სამხრეთ-ოსეთის კოლმეურნეობებმა თვდაცვის ფონდში დასთესეს 97,5 ჰექტარი, ძმური დახმარების ფონდში—156 ჰექტარი. პატრიოტული თაოსნობა წამოიწყეს სამხრეთ-ოსეთის კოლმეურნეობებმა, სახელდობრ, წითელფრონტელთა ოჯახების წევრების დასახმარებლად წელს 226 ჰექტარი მარცვლეული დასთესეს. სულ კი თავდაცვისა და დახმარების ფონდისათვის წელს ოლქში სახელმწიფო გეგმის გადამეტებით დათესილია 479,5 ჰექტარი.

სტალინირის რაიონის, სოფ. ერედვის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ი. ქრისტესაშვილი) კარგად უვლიან ნათესებს და იცავენ მავნებლებისაგან კოლმეურნეობაში მოწყობილია საბავშვო ბაგა, რამაც საშუალება მისცა 60 ქალს სრული დატვირთვით იმუშაოს. მეხუთე ბრიგადას ხელმძღვანელობს თამარ ბერუაშვილი, რომელსაც ქმარი ფრონტზე ჰყავს. ეს ბრიგადა ნათესების დამუშავების ნორმებს გადაჭარბებით ასრულებს. მას მუშაობაში არ ჩაბმოჩება რგოლის ხელმძღვანელი ოლა ბორცვაძე. გამომუშავების ნორმებს გადამეტებით ასრულებენ ბაბო ქრისტესიაშვილი, დარა არაბოლიშვილი, ნინო ყუჟნიაშვილი. ახალგაზრდული ენერგიით მუშაობს მოხუცი კოლმეურნე გიორგი ოზგებიშვილი, რომლის ოთხი ვაჟკაცი იბრძვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. თვითონ ჭაღარა გიორგი კი ზურგში დაუღალავი შრომით იბრძვის მაღალი მოსავლისათვის.

ნათესების დამუშავებას სერიოზულ ყურადღებას აქცევენ სტალინირის რაიონის ზეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მელიტონ ჯღოიანი თავს დასტრიალებს ნათესებს და ის კოლმეურნეობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარებაში ჰოწინაეთია რიგებშია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კოლმეურნეობას ფეტვის კულტურის ფართოდ განვითარების დიდი შესაძლებლობანი გააჩნია. შარშან აქ ფეტვი 5 ჰექტარი დასთესეს და მოსავლიც კარგი მიიღეს. წელს კი მხოლოდ 2,6 ჰექტარი დასთესეს. საჭიროა მეტი რაოდენობით დათესოს ეს კულტურა, რადგან კოლმეურნეობას აქვს თესლიც და მიწის ფართობიც. საფუძვლიანად უნდა გავაცნოთ კოლმეურნეებს პარტიისა და მთავრობის დადგენილება ფეტვის

„საპატარძლო აფიშით“

რუსთაველის სახელობის თეატრში

რუსთაველის სახ. თეატრმა წელს მაყურებელს უჩვენა გოლდონის პიესა „საპატარძლო აფიშით“. ეს პიესა აგებულია გულუბრყვილობისა და გაუგებრობის ნიადაგზე წარმოშობილ დახლართულ სიტუაციებზე, რაც მაყურებელში იწვევს დაუსრულებელ სიცინცხლს. მისი დადგმა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ეს სიძნელე კარგად დასძლია რეჟ. დ. ალექსიძემ და თვალსაჩინო გამარჯვება მოაპოვებინა თეატრის კოლექტივს.

მთავარი სიმძიმე ამ პიესაში ემ. აფხაიძეს დააწვა. ნიჰეერმა მსახიობმა წარმატებით შეასრულა პანდოლფოს როლი და თვალწინ წარმოგვიდგინა კომერსანტი, რომელიც ცდილობს აფიშებით და კონკურსის მოწყობით გაათხოვოს თავისი ქალიშვილი ლიზეტა (რ. ბერიძე). მაჭანკალური სისადავე და ბუნებრივობა, თვალების კომიკურად ჭუტვა, ყურების დალურსვა, სითამამე გათავხედებული გაჭირვეული კომერსანტისა, მუნჯურ სცენებში სიტყვებზე უფრო მკაფიოდ ამეტყველება სხეულის ნაკვთებისა, ცხოველური ფუნდრუკი თუ სახარბიელო მიღწევა აქვს, ხოლო ეპილეპტიკური მანერების გამოვლენა, თუ მარცხი ვანიცადა,—აი რიტმიულად მოქსოვილი ის უამრავი ექსცენტრიული ესკიზები, რომლებსაც მსახიობი ემ. აფხაიძე გვაძლევს თავისი ოსტატური თამაშით.

ემ. აფხაიძეს ღირსეულ პარტნიორობას უწევს ვლ. ადამიძე გაკოტრებულ კომერსანტ ანსელმოს როლში.

საკმაოდ მკაფიო სურათი სასტუმროს პატრონ ფილიპოსი დაგვიხატა ნ. ჩხეიძემ. ასეთი რთული როლი პირველად დაეკისრა მას და კარგადაც დასძლია იგი.

სამწუხაროდ, ალბერტო ალბიჩინის როლი სტილიურად დამუშავებული ვერ გამოუვიდა ვ. დოლიძეს. მისი ალბერტო სცენაზე გამოჩენისთანავე გაფითრებული სახით გვევლინება, როგორც მელანქოლიკი. მსახიობს აეიწყდება, რომ ალბიჩინი ახალგაზრდა დარდიმანდი კომერსანტია, რომელსაც ფეხი მტკაცედ უდგია პარიზის ბოჰემაში. მაშასადამე, ის უნდა იქცეოდეს როგორც ბოჰემელი და არა როგორც დანიის პრინცი. მისი რომანტიკულობა ნელ-ნელ უნდა იწყებოდეს და სევდით დათენთვა სწყდებოდეს ფინალში.

სადაოა ლაროზის როლის ინტერპრეტაცია, რომელსაც ალ. აფხაიძე გვაძლევს. ჯერ ერთი, შეუფერებელია სახის უუმური გამომეტყველება. ლაროზი პარიზის ბირჟის ერთ-ერთი უგვირგვინო მეფეა, თავმომწონე, მედიტერი, იმავე დროს ბოჰემის პირმშო შვილი. მაშასადამე, მის კოდეგ-ნაკვთში [illegible] ბოჰემური იერი, შეუფერებელია მ. [illegible] ინტონაციაც.

არ დავიკიწყოთ ალ. კუპატ[illegible] ტრადიციების [illegible] ამდენი [illegible] ავიწყდება, რომ საქმე აქვს კლასიკურ კომედიასთან და არა ბუფონადასთან.

ქალთა პერსონალი ამ კომედიაში მთლიანად თავის სიმაღლეზე დგას. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ნ. ვ. ალექსი-მესხიშვილის გამოსვლა. მისი მადამ ფონტენი პარიზის კაფეშანტანების ჯიშიანი აქტრისაა. დიდი სცენიური კულტურა, ფრანგული მანერებისა და ინტონაციის ზედმიწევნით დაუფლება, ამასთანავე პარიზული ბოჰემის ცხოვრების ღრმა ცოდნა,—აი რის გეზიენებს იგი. მაგრამ ნ. ვ. მესხიშვილს ახასიათებს არა მარტო კომედიური აქტრისის ვირტუოზული ტექნიკა, არამედ ვოკალური ინტერპრეტაციაც. მის მიერ კაფეში შესრულებული სიმღერა—„მყავდა ერთი წინაპარი“—წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

ასევე კარგად მიჰყავს ფიამეტას როლი ო. დოლიძეს, რომელიც კოლორიტულ, დასამახსოვრებელ სახეს ჰქმნის.

სიცოცხლით სავსე და მგზნებარე ლიზეტა დაგვიხატა რ. ბერიძემ, ხოლო დორას რომანტიკული სახე—თ. თარხნიშვილმა. სტამბის მკვირცხლი ბიჭი იყო ა. ტურიაშვილი, ხოლო გარსონი—გ. გოგიჩაიშვილი.

„საპატარძლოს“ მეორე აქტში ბოჰემელი ახალგაზრდობის შეხვედრა მადამ ფონტენთან საუცხოო იქნებოდა, რომ მეტი სიფაქიზე და სიმკვირცხლე ყოფილიყო.

დეკორაციები ეკუთვნის განსვენებულ მხატვარს ირ. გამრეკელს. აქაც, როგორც მუდამ, იგი გვევლინება მაღალი გემოვნების მაესტროდ, რომელმაც იცის საიდუმლოება, თუ როგორ უნდა შეჰქმნა სცენაზე ფერების, ჩაცმა-დახურვის და განათების სრული სიმფონია.

რ. გაბიჩავაძის მუსიკა ისე კარგად არის შეწყობილი, რომ შიგ ჩაქსოვილი ადგილები უკვე პოპულარული გახდა („გუგულის ხმა ისმის“, „მყავდა ერთი წინაპარი“ და სხ.).

მიუხედავად ჩვენი შენიშვნებისა, „საპატარძლო აფიშით“ დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს და თეატრის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

დ. ჯასრაძე

ლეკციები ჯ მოხსენებები

15 ივნისს, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში (საბჭოს ქ. № 130) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია თემაზე: **„საამაულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები“.**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში და კლუბის სალაროში.

15 ივნისს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ამხ. ა. **გიორგაძის** ლექცია ქართულ ენაზე, თემა: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები“.**

ჯგუფური კონსულტაცია

16 ივნისს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. **ნოლიანისის** ჯგუფური კონსულტაცია რუსულ ენაზე. თემა: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები“.**

ჯარეკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი წინადადებას აძლევს ამხანაგებს: ალექსანდრე ეგოიანს-ძე **კანდელაკს,** ივონა გაბრიელის-ძე **ყურაშვილს,** ლევან კონსტანტინეს-ძე **სურმავას,** პეტრე პავლეს-ძე **ლიხოლიპს** დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ რაიკომში ამხ. **ხარიასთან.**

თეატრებში

15 ივნისს: სახოპერა—„ალი“. **რუსთაველის სახელობის**—„ბრუსილოვი“. **მარჯანიშვილის სახელობის**—„ეშვით ავადმყოფი“. **მუსიკალური კომედიის**—„ოქროს გასაღები“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—„წითელქუდა“.

კინოებში

რუსთაველის სახ.—„ანტოშა რიბკინი“. **ოქტომბერი**—„ლედი ჰამილტონი“. **დამკვრელი**—„მეგობრობა“. **კომკავშირელი და ლუმუმბურგის სახ.**—„ირანი“. **სპარტაკი**—„გამარჯვება უდაბნოში“. **ორჯონიკიძის პარკი**—„საიდუმლო კუნძული“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი

აწარმოებს სტუდენტთა მიღებას 1943-44 სასწავლო წლისათვის შემდეგი ფაკულტეტების 1-ლ კურსზე:

1. მექანიკური, 2. საამშენებლო, 3. მოძრაობისა და სატვირთო მუშაობის.

ინსტიტუტს აქვს ოთხი სექტორი: ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული.

განცხადებათა მიღება სწარმოებს 1943 წ. 1 ივნისიდან 15 აგვისტომდე ყოველდღე 12 საათიდან საღამოს 6 საათამდე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის სახელზე შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, პლეხანოვის პრ. № 138, მიმღებ კომისიას.

განცხადებას უნდა დაერთოს:

1. ატესტატი საშუალო სასწავლებლის დამთავრების შესახებ (დედანი), 2. დაწერილებითი ავტობიოგრაფია, 3. სამი ფოტოსურათი, 4. პასპორტი და სამხედრო ბილეთი (წარედგინება პირადად).

სხვა ქალაქებიდან ჩამოსული სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

თბილისის რკინიგზის ტრანსპ. ინჟინერთა ინსტიტუტის უფროსი
დოც. ჭიჭინაძე

96

საქ. სსრ ჯანსახკომის სამედიცინო დების თბილისის მე-3 სკოლა

(ვახუშტის ქ. № 46—დიდუბე, რკინიგზის სკოლის შენობა), ქამოს სახელობის საავადმყოფოს ბაზაზე არსებული. სკოლა **საშუალო სამედიცინო სასწავლებელია** და **ამზადებს სამედიცინო დებს.**

მეცადინეობა სწარმოებს საღამოს საათებში. სტიპენდიები არსებული წესის მიხედვით. სკოლის კურსდამთავრებულთა სათანადო საწარმოო სტაჟის გავლის შემდეგ უფლება აქვთ შევიდნენ უმაღლეს სასწავლებელში საერთო წესით. სკოლაში უგამოცდოდ მიიღებიან 15-დან 35 წლის ქალები, რომელთაც დამთავრებული აქვთ ტექნიკუმი, მუშფაკი, ათწლედი და შვიდწლედი.

განცხადებას უნდა დაერთოს: 1) მოწმობა განათლების შესახებ (დედანი), 2) მეტრიკული ამონაწერი, 3) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და 4) ორი ფოტოსურათი.

განცხადების მიღება დირექტორის სახელზე სწარმოებს საღამოს საათებში 6-დან 8 საათამდე. მისამართი: თბილისი, დიდუბე, ვახუშტის ქ. № 46, რკინიგზის სკოლა (სამასწავლებლო ოთახი). დილის საათებში: დიდუბე, კოოპერაციის ქ. № 11. ქამოს სახელობის საავადმყოფოში (დირექტორის კაბინეტი). განცხადებების და საბუთების გამოგზავნა შეიძლება ფოსტითაც დაკვეთილი გზავნილებით.

სწავლის დაწყება ცალკე გამოცხადდება.

№ 118 **სკოლის დირექტორი.**

შეუღლე მანანა, შვილები ნინა, ირაკლი, ალექსანდრე იუწყებიან
ილიკო მიხეილის-ძე მახაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვ. 15, 16/VI, 7½ ს. ბარნოვის, 17. დაკრძ. 17/VI, 6 ს. 1386

შვილები გრიშა, ლეონიდე, ცუცა, რძლები იულია, მარო, შვილიშვილები იოგენი, ლეო იუწყებიან
ნატალია ბეკოს-ასულ ლორთქიფანიძის
გარდაცვალებას. 1387

კავშირგაბმულობის სკოლის თანამშრომლები იუწყებიან
ავთანდილ ვარლამის-ძე თადუმაძის
გარდაცვალებას. პანაშვ. 15, 16/VI, 7 ს. ყიფიანის, 10. გამოსვ. 17/VI, 6 ს. 1387

მეუღლე მანია, სიმამრი შაქრო, ცოლის-ძმები ნოე, იაფეტი ოჯახებით იუწყებიან
ლევან ილიას-ძე ნაცვლიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვ. 15/VI, 5 ს. ბახტრიონის, 6 (საბურთალო). 1389

მეგობრები ილო და იოსებ ღირსიაშვილები, ილო ნიკოლაშვილი, ივანო მირიანაშვილი და ივანე შეკლიშვილი იუწყებიან
ლევან ილიას-ძე ნაცვლიშვილის
გარდაცვალებას. 1389

მამა პავლე, დედა სონა, ძმები და დები იუწყებიან
შალვა პავლეს-ძე ელიავის
გარდაცვალებას.

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის საბინაო სამმართველოს კოლექტივი იუწყება ინჟ. შ. კალანდაძის მეუღლის
ნუნუ პისკუნოვა-კალანდაძის
გარდაცვალებას. 1376

შვილები ფეოდოსია, პიერა, ნესტორ, აკაკი, სიძეები პ. ჩაგანავა, ი. ქვარცხავა, რძლები ლუბა, ოლია იუწყებიან
ელენე დუტუს-ასულ კილასონიას
გარდაცვალებას. 1383

მეუღლე სარდიონ ფაღავა, და ელენე, ძმა ვალოდია ოჯახებით იუწყებიან
ანა სიმონის-ასულ გოგაძის
გარდაცვალებას. გამოსვ. 15/VI, 5 ს. ლერმონტოვის, 9. 1384

მწმობლები ვასო, ტასო, ძმა ვახტანგ, და ლიანა ნანუაშვილები იუწყებიან
ნათელას
გარდაცვალებას. პანაშვ. 15, 16/VI, 7 ს. პლეხანოვის. 82. გამოსვ. 17/VI, 5 ს.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 29. უე 6957

დეკემბერი

გაერთიანებულ ერთა დღის დღესასწაული

ლონდონი, 14 ივნისი (საკდესი). დღეს, გაერთიანებულ ერთა დღეს, ლონდონში გაართა პარადი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ინგლისის, კანადის, ავსტრალიის, ახალ ზელანდიის და სამხრეთ აფრიკის ჯარებმა, მეზღვაურებმა, მუშებმა და მუშა ქალებმა. ჰოსპიტლების პერსონალმა და სხვ. ხალხმრავალ პროცესიას წინ მიუძღოდნენ ორკესტრი და მედროშენი, რომელთაც მიჰქონდათ გაერთიანებულ ერთა დროშები.

კაიროში, ალექსანდრიაში, ბეირუთში და ახლო აღმოსავლეთის, ავსტრალიისა და ინდოეთის მთელ რიგ სხვა ქალაქებში პარადები გაიმართა.

ნიუ-იორკი, 14 ივნისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ყველა ქალაქში დღეს იდღესასწაულეს გაერთიანებულ ერთა დღე და დროშის დღე. ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე დიდ ქალაქებში გაერთიანებულ ერთა დღის აღსანიშნავად გაიმართა პარადები და პატრიოტული ცერემონიები.

მოკავშირეებმა დაიკავეს იტალიის კუნძული ლამპედუზა

ლონდონი, 13 ივნისი. (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, იტალიის კუნძულ ლამპედუზის გაძლიერებული დაბომბვისა და კაპიტულაციის შემდეგ, 13 ივნისს დილაადრიან მოკავშირეთა ერთ-ერთი საესკადრო ნაღმისანი მიუახლოვდა იტალიის მეორე კუნძულ ლინოსას, რომელზეც უკვე ფრიალებდნენ თეთრი ბაირაღები. მოწინააღმდეგის გარნიზონმა, რომელიც 140 კაცისაგან შესდგებოდა, იარაღი დაჰყარა და ევაკუირებულია.

ლინოსა პატარა კუნძულია, რომელიც 30 მილზე მდებარეობს ლამპედუზის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ტერიტორიით იგი ლამპედუზაზე ერთიოხუთად პატარაა.

მოკავშირეებმა დაიკავეს იზაღიის კუნძული ლამპიონე

ლონდონი, 14 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, მოკავშირეებმა დაიკავეს იტალიის კუნძული ლამპიონე (საცილიის სრუტეში, ლამპედუზის კუნძულის ჩრდილო-დასავლეთით).

მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმები გერმანიასა და საფრანგეთზე

ლონდონი, 13 ივნისი, (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 12 ივნისს ღამით ინგლისის ბომბდამშენთა დიდი შენაერთები თავს დაესხნენ რურის ოლქის ცენტრალურ რაიონებს. იერიშების მთავარ ობიექტს წარმოადგენდა ქალაქი ბოხუმი. ამ ოპერაციიდან თავის ბაზაში არ დაბრუნებულა 24 ბომბდამშენი. შემჩნეულია ბევრი ხანძარი და აფეთქება.

გუშინ საღამოს ინგლისის ავიაციამ იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის მთელ რიგ სამხედრო ობიექტებზე კაენში, აბვილში და რუანის ახლოს.

13 ივნისს დილით ამერიკის ბომბდამშენთა ორმა დიდმა შენაერთმა იერიში მიიტანა მთელ რიგ ობიექტებზე ბრემენსა და კილში. დღისით ინგლისის ავიამანანადგურებლებმა დიდი მასშტაბის ოპერაციები განახორციელეს ჩრდილოეთ საფრანგეთში და ჰოლანდიაში.

გერმანიის თვითმფრინავებმა 12 ივნისს ღამით ბომბები ჩამოაყარეს ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროს ცალკეულ პუნქტებში და დიდი ლონდონის რაიონში. მოყენებულია მატერიალური ზარალი, მოკლულია რამდენიმე კაცი.

როგორც ახლა გამოირკვა, დიუსელდორფსა და მიუნსტერზე თავდასხმები, რაც 11 ივნისს ღამით მოხდა, ყველაზე სასტიკი იყო მთელი ომის განმავლობაში. აეროფოტოსურათების მიხედვით, ორივე ქალაქის დაბომბვამ, რომლებსაც 2.000 ტონაზე გაცილებით მეტი ბომბი დააყარეს, განსაკუთრებული წარმატებით ჩაიარა.

აეროფოტოსურათები ცხადყოფენ აგრეთვე, რომ გერმანიაში დაბომბვით გამოწვეული ნგრევის მასშტაბით ყველაზე უფრო სერიოზულად დაზარალებულია ქალაქი დორტმონდი. მარტო 23 მაისის ღამით ბომბდამშენი თავდასხმის შედეგად დორტმუნდში დანგრეული ან სერიოზულად დაზიანებულია დაახლოებით 880 მთავრობისა და ადმინისტრატიული შენობა, 9 მანქანათმშენებელი ქარხანა და სულ ცოტა 1.258 საცხოვრებელი სახლი.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 14 ივნისი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ გუშინ დღისით ამერიკელთა მძიმე ბომბდამშენები ურტყამდნენ აეროდრომებს ჯერბინსა და კატანიაში (სიცილია). თავდასხმის შედეგად ბევრგან ხანძარი გაჩნდა და აფეთქება მოხდა. 12 ივნისს ღამით კატანიის აეროდრომებზე იერიში მიიტანეს ინგლისის ავიაციის მძიმე ბომბდამშენებმა. ბომბების მოხვედრებმა მრავალი ხანძარი გამოიწვია.

12 ივნისს ღამით და გუშინ დღისით ინგლისის ავიამანანადგურებლები და შორმოქმედი საშუალო ბომბდამშენები თავს დაესხნენ მტრის გემთა დაჯგუფებას ეგეოსის ზღვაში, სიბერძნეთის სანაპიროსთან.

13 ივნისს საღამოს ინგლისის ავიაციამ იერიში მიიტანა მტრის გემების ქარავანზე ჰოლანდიის სანაპიროსთან.

იზაღიის სამხრეთ რაიონებში საჩქაროდ იღებენ მოსავალს

სტოკჰოლმი, 14 ივნისი (საკდესი). სკანდინავიის დეპეშათა ბიურო რომიდან გადმოგვცემს, რომ იტალიის ხელისუფლებამ მიიღეს ღონისძიებანი, რათა მოსავალი უსწრაფესად აიღონ იტალიაში, განსაკუთრებით მის სამხრეთ რაიონებში. იქ გაგზავნილია ბევრი დამატებითი მუშახელი. ადგილობრივ ხელისუფალთ რწმუნება მიეცათ დაუყოვნებლივ დახურონ ყველა საწარმო, რომელთაც დიდი სამხედრო მნიშვნელობა არა აქვთ, და მათი პერსონალი მოსავლის ასაღებად გაგზავნონ.

ანკარაში ჩავიდა ადმირალი კენინგჰემი

ანკარა, 12 ივნისი. (საკდესი). დღეს ანკარაში ჩამოვიდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის ინგლისის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალი ადმირალი კენინგჰემი.

ლონდონი, 13 ივნისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ადმირალი კენინგჰემი შეხვდება თურქეთის მთავარსარდალს მარშალ ჩაკმაკს, პრემიერ-მინისტრ სარაჯოღლუს, საგარეო საქმეთა მინისტრ მენემენჯიოღლუს და თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალთა შტაბის წარმომადგენლებს.

საბჭოთა პარტიზანები ანადგურებენ გერმანელ ოკუპანტებს

სტამბოლი, 13 ივნისი. (საკდესი). იტალიის გაზეთმა „პოპოლო დ'იტალია“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მოჰყავს გესტაპოს ერთი ოფიცრის ნაამბობი საბჭოთა პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

„საბჭოთა პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლა,—ჩიკის ეს გესტაპოელი,—მძიმე და სახიფათო ომია, მით უმეტეს, რომ პარტიზანებს აქტიურად ეხმარება ადგილობრივი მოსახლეობა“. ფუსტაპოელის სიტყვით, „პარტიზანული რაზმები დღითი-დღე სულ უფრო და უფრო მრავალრიცხოვანი ხდება. ისინი კარგად არიან ორგანიზებული და შეიარაღებული. პარტიზანები ტელეფონის ბაზებს შლიან, საიდუმლო მოსასმენებს იჭერენ, გზატკეცილებსა და რკინიგზებს ნაღმავენ და ამით გერმანელთა ტრანსპორტის მუშაობას ჰფუშავენ. ყველაზე მთავარი კი ის არის,—ჩიკის ჰიტლერელი,—რომ პარტიზანები მუდამ არასაიმედო და შემაშფოთებელ ატმოსფეროს ქმნიან გერმანელთა ზურგში. როცა პარტიზანებს საკმაო ძალები არ მოეგროვებათ მისათვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ გერმანელთა ნაწილებს, ისინი მათ ჭაობებსა და ტყეებში იტყუებენ, სადაც ყელამდე წყალში გვიხდება სიარული. გერმანელთა ცოტად თუ ბევრად დიდი ნაწილებიც კი, რომელნიც ზურგში იმყოფებიან, ხშირად იძულებული ხდებიან ირგვლივ დაცვას მიმართონ, რათა უზრუნველჰყონ თავიანთი თავი საბჭოთა პარტიზანების მოულოდნელი თავდასხმისაგან. გაბედულება და ხერხიანობა მტრისა, რომელიც ელვისებური სისწრაფით ხან აქ გაჩნდება, ხან იქ, ხშირად მოუმზადებელს მოუსწრებს ხოლმე გერმანელთა რაზმებს“.

იაპონია-ჩინეთის ომი

ჩინეთის სარდლობის კომუნიკე იუწყება, რომ ჩინეთის ჯარები გარს შემოერტყნენ ჯეჰიანის პროვინციის დედაქალაქ ძინხუას, რომელიც მნიშვნელოვან ავიაბაზას წარმოადგენს.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ჩინეთის ჯარები უკვე შევიდნენ ძინხუაში.

13 ივნისი. (საკდესი).

* * *

ჩინეთის სარდლობის ცნობებით, ჩინეთის ჯარებმა სავსებით დაიკავეს ქალაქი სუნჰი, რომელიც იჩანსა და შაშს შუა მდებარეობს მდინარე იანძის სამხრეთ ნაპირზე (ხუბეის პროვინცია). გარდა ამისა, ჩინეთის ჯარებმა ასევე დაიკავეს რამდენიმე სტრატეგიული პუნქტი ამ რაიონში. კომუნიკეში ნათქვამია

აგრეთვე, რომ იაპონელთა ჯარებმა უკან დაიხიეს ხუბეის პროვინციის სამხრეთ ნაწილში. ხუბეის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში ჩინეთის ჯარებმა დაიკავეს ორი დასახლებული პუნქტი.

14 ივნისი. (საკდესი).

უცხოეთის ქრონიკა

წინასწარი ცნობებით, პანტელერიაზე ტყვედ ჩავარდა 10.000-ზე მეტი კაცი. ამათგან 3.000 კაცი უკვე გაგზავნა ჩრდილოეთ აფრიკაში. ტყვეთა შორის არც ერთი გერმანელი არ არის. პანტელერიაზე ინგლისის პირველი არმიის ნაწილები გადასხდნენ.

კუნძულ ლამპედუზაზე ტყვედ ჩავარდა 3.000 კაცი.

* * *

ომში საბჭოთა კავშირისათვის დახმარების ამერიკულმა კომიტეტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამას წინათ გარდაცვლილ ცნობილ რუს კომპოზიტორ რახმანინოვის ხსოვნის ფონდი შეჰქმნა. ომიანობის დროს ეს ფონდი საბჭოთა კავშირისათვის დახმარების აღმოჩენას მოხმარდება, ომის შემდეგ კი—ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას.

* * *

რუმინეთის გაზეთებში ყოველდღე რამდენიმე სვეტი უჭირავს მკვლელობის, ქურდობისა და სხვა ბოროტმოქმედებათა ქრონიკას. მრავალი გაზეთი აღნიშნავს, რომ რუმინეთში მკვლელობა „სიტემად გადაიქცა“.

* * *

გერმანელებს განზრახული ჰქონდათ წელს სამუშაოდ მობილიზაციით გაეწიათ სულ ცოტა 240.000 ნორვეგიელი, მაგრამ უხეში ძალმომრეობისა და ტერორის გამოყენების მიუხედავადაც კი სულ რამდენიმე ათასი კაცის შეგროვება მოახერხეს. მუშახელის მწვავე ნაკლებობის გამო, გერმანელები იძულებული გახდნენ დანიელი მუშები ჩაეყვანათ ნორვეგიაში.

* * *

უნგრეთის სამხედრო მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ნადი გადაყენებულია თანამდებობიდან. მის ადგილზე გენერალ-პოლკოვნიკი ჩატაი დაინიშნა.

ამ უკანასკნელ დღეებში ესპანეთში ავარია განიცადა ამერიკის 3 თვითმფრინავმა.

* * *

10 ივნისს ლონდონში დიდი წარმატებით ჩაიარა კ. სიმონოვის პიესა „რუსი ადამიანების“ პირველმა წარმოდგენამ. (საკდესი).

* * *

ინგლისის ავიაციაში ფართოდ იყენებენ საფოსტო მტრედებს. მათ ჰგზავნიან ყველა იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელი ან არასასურველია რადიოს გამოყენება. მტრედების დახმარებით გაგზავნილი ყველა ცნობის 80 პროცენტი დანიშნულების ადგილს აღწევს.

* * *

საბერძნეთის ოკუპაციის მანძილზე იქ შიმშილითა და ავადმყოფობით მოკვდა ან საუდამოდ დაჰკარგა შრომის უნარი თითქმის 500.000 ბერძენმა.

* * *

რუმინეთში დაპატიმრებულია ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი ტატარესკუ და გამოჩენილი რუმინელი პოლიტიკური მოღვაწე კონსტანტინე ბურშანი, რომელთაც ბრალად სდებენ მტრებთან კავშირის დაჭერას.

„საპატარძლო აფიშით“

რუსთაველის სახელობის თეატრში

რუსთაველის სახ. თეატრმა წელს მაყურებელს უჩვენა გოლდონის პიესა „საპატარძლო აფიშით“. ეს პიესა აგებულია გულუბრყვილობისა და გაუგებრობის ნიადაგზე წარმოშობილ დახლართულ სიტუაციებზე, რაც მაყურებელში იწვევს დაუსრულებელ სიცინცხლს. მისი დადგმა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ეს სიძნელე კარგად დასძლია რეჟ. დ. ალექსიძემ და თვალსაჩინო გამარჯვება მოაპოვებინა თეატრის კოლექტივს.

მთავარი